



საქმე №1710-22

1 ნოემბერი, 2022 წელი

**ა(ა)იპ „საქართველოს რაგბის კავშირის“ სააპელაციო კომისიის
გადაწყვეტილება**

კომისიის შემადგენლობა - რევაზ ბერიძე, ირაკლი კუჭავა, ბერდია ახალბედაშვილი, ანა გვასალია

საჩივრის ავტორი - მოთამაშე ლევან გოგოლაშვილი

მოწინააღმდეგე მხარე - ა(ა)იპ „საქართველოს რაგბის კავშირის“ (შემდგომში - „სრკ“) სადისციპლინო კომისია (შემდგომში - „სადისციპლინო კომისია“)

გასაჩივრებული გადაწყვეტილება - სადისციპლინო კომისიის 2022 წლის 5 ოქტომბრის გადაწყვეტილება, რომლითაც საჩივრის ავტორს სანქციის სახით განესაზღვრა 18 (თვრამეტი) კვირიანი დისკვალიფიკაცია

აღწერილობითი ნაწილი

1. 2022 წლის 10 ოქტომბერს, საქართველოს რაგბის კავშირის სააპელაციო კომისიის ელ. ფოსტაზე appeals@rugby.ge შემოვიდა რაგბის კლუბ „ყოჩების“ მოთამაშე ლევან გოგოლაშვილის სააპელაციო საჩივარი, რომელიც არ იყო წარმოდგენილი საქართველოს რაგბის კავშირის სააპელაციო კომისიის დებულების [შემდგომში „დებულება“] მოთხოვნების შესაბამისად. საჩივარი არ იქნა მიღებული წარმოებაში. 2022 წლის 28 ოქტომბერს საჩივრის ავტორმა შემოიტანა კორექტირებული საჩივარი, რომლითაც აღმოფხვრა დებულებასთან შეუსაბამობა;
2. 2022 წლის 30 სექტემბერს ჩატარდა მატჩი “თბ ყოჩებს“ და „ქუთაისის აია“-ს შორის, სადაც საჩივრის ავტორი თამაშობდა #11 ნომრით. საითინგის მიხედვით თამაში მიმდინარეობდა საკმაოდ დაძაბულად, მსაჯის მიერ არაერთხელ იქნა გამოყენებული ყვირთელი ბარათი;

3. 2022 წლის 30 სექტემბერს მატჩის მე-4 მსაჯმა მარიამ გოგუაძემ და კიდის მსაჯმა გელა ლემონჯავამ, წერილობით მიმართეს სადისციპლინო კომისიას თამაშის დროს მომხდარი დისციპლინარული გადაცდომების შესახებ;
4. მე-4 მსაჯი საითინგში აღნიშნავს: „მატჩის მიმდინარეობის დროს ადგილი ჰქონდა ნიკა ამაშუკელის (მთავარი მსაჯის) მიმართ სიტყვიერ შეურაცხყოფას [დედის გინება] კლუბ ყოჩების #11 ლევან გოგოლაშვილის მხრიდან. მოთამაშე აპროტესტებდა ნიკა ამაშუკელის გადაწყვეტილებებს და ყვითელ ბარათებს, რომლებიც მსაჯმა გამოიყენა თამაშის დროს. თამაშის შემდგომ ყოჩების მოთამაშეები გასახდელთან მოგროვდნენ და აპროტესტებდნენ ოქმში [საითინგში] დაფიქსირებულ საჩივარს“;
5. კიდის მსაჯი - გელა ლემონჯავა საითინგში აღნიშნავს (ციტირება): „თამაშის პირველ ნახევარში, ყოჩების მოთამაშე ლაშა მალალურაძემ, მიიღო ყვითელი ბარათი და მოედინიდან გამოსვლის დროს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა ნიკა ამაშუკელს (დედა შეაგინა). ამ დროს, ლევან გოგოლაშვილმა, განზრახ ჩემს გასაგონად (არაერთხელ გამიმეორა მესმოდა თუ არა ეს) სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა ნიკა ამაშუკელს (დედა შეაგინა). მატჩის დასრულების შემდეგ ყოჩების რამდენიმე მორაგბე (ლევან გოგოლაშვილი, ლაშა მალალურაძე, სხვები ზუსტად არ მახსოვს რადგან შიგნით ვიყავთ გასახდელში მსაჯები და თავს ვარიდებდით სიტუაციას) პროვოკაციული ტექსტებით და საკმაოდ აგრესიული ტონით მოგვმართავდნენ (აბა გამოდით გარეთ, სუსტებს განსაცდელი ელით)“;
6. საითინგში მითითებული ინფორმაციას კიდის და მე-4 მსაჯები ასევე ადასტურებენ სატელეფონო საუბრისას, დარღვევის შესახებ არ აქვს ინფორმაცია მეთვალყურე - ირაკლი დოლიძეს;
7. ლევან გოგოლაშვილი საჩივრით არ ეთანხმება და სადაოდ ხდის მთავარი მსაჯისთვის სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტს, თუმცა საჩივარში ადასტურებს იმ გარემოებას, რომ თამაშის შემდგომ მივიდა მსაჯების ოთახთან სადისციპლინო დარღვევის შესახებ შედგენილი ოქმების (საითინგის) გაცნობის მიზნით. ასევე ადასტურებს, რომ ამ ქმედებით დაარღვია სადისციპლინო რეგულაციის დანართი #-ის 9.28 პუნქტი;
8. საჩივარში გარდა ლევან გოგოლაშვილის სიტყვიერი ახსნა-განმარტებისა არ არის წარმოდგენილი რაიმე მტკიცებულება, რომელიც გააქარწყლებდა მსაჯების მიერ საითინგში მითითებულ გარემოებას მთავარი მსაჯის სიტყვიერი შეუსაცხყოფის შესახებ;

სამოტივაციო ნაწილი

1. საჩივრის დეტალური შესწავლისა და მტკიცებულებების შეფასების საფუძველზე, კომისია დადგენილად და უდავო ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნევს, რომ ლევან გოგოლაშვილმა დაარღვია სრკ-ს სადისციპლინო კომისიის დანართი #1-ის 9.28 პუნქტი, რომლის შესაბამისად „მოთამაშემ არ უნდა გამოიჩინოს უპატივისმცემლობა მატჩის ოფიციალურ პირთა ავტორიტეტის მიმართ“. ასევე დაარღვია დანართი #6-ის მე-3 პუნქტი, რომლის თანახმად „მატჩის ოფიციალურ პირთა და მათი ზედამხედველის (მწვრთნელის) გარდა არავის არ აქვს უფლება მიმართოს მატჩის ოფიციალურ პირს თამაშისას, შესვენებისას და მატჩის შემდეგ, შევიდეს მათ გასახდელ ოთახში, რაიმე, თამაშთან დაკავშირებული საკითხის განსახილველად, თუ თავად მატჩის ოფიციალური პირი არ დართავს ამის ნებას“;

2. კომისია ასევე უდავო ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნევს, ლევან გოგოლაშვილის მხრიდან მთავარი მსაჯისთვის სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენების ფაქტს, რადგან საქმეში არ არის წარმოდგენილი მტკიცებულება, რომელიც გააქარწყლებდა მე-4 მსაჯისა და კიდის მსაჯის საითინგში ასახულ გარემოებებს. ამასთან, ორივე საითინგში ასახული გარემოებები შინაარსობრივად ერთმანეთთან თანხვედრაშია;
3. უპირატესად უნდა განიმარტოს, რომ საჩივრის ავტორმა უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებს და საჩივარს. მტკიცების ტვირთი წარმოადგენს საჩივრის განხილვაში საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვან გარემოებას. განსახილველ შემთხვევაში, საჩივრის ავტორმა წარმოადგინა მხოლოდ საჩივარი, რომელიც შეიცავდა ავტორის ახსნა-განმარტებას მომხდართან დაკავშირებით, თუმცა არ წარმოუდგენია რაიმე მტკიცებულება [მაგ. მოწინააღმდეგე გუნდის ან/და სხვა მსაჯის წერილობითი ახსნა-განმარტება, ვიდეო ჩანაწერი ან სხვა], რომელიც უგულებელყოფდა/გააქარწყლებდა საითინგში მითითებულ დისციპლინარულ დარღვევას. სწორედ საჩივრის ავტორის მტკიცების საგანს წარმოადგენდა იმ ფაქტობრივი გარემოების მტკიცება, რომ მისი მხრიდან მატჩის ოფიციალური პირების მიმართ შეურაცხყოფის ფაქტს ადგილი არ ჰქონია, რაც საჩივრის ავტორმა ვერ უზრუნველყო;
4. კომისია მართებულად მიიჩნევს კიდევ ერთხელ გაამახვილოს ყურადღება რაგბის, როგორც სპორტის ერთ-ერთი სახეობის მნიშვნელობასა და პრინციპებზე. რაგბი ღირსეული ადამიანების სპორტად მიიჩნევა და მის ფუნდამენტალურ ფასეულობას წარმოადგენს პატივისცემა თანაგუნდელების, მოწინააღმდეგე მოთამაშეების, მატჩის ოფიციალური პირებისა და მაყურებლის მიმართ, რაც მეტად განასხვავებს რაგბს სპორტის სხვა სახეობებისგან. მსაჯები და მეთვალყურე არიან ის ძირითადი პირები, რომლებიც ახორციელებენ მატჩზე მომხდარი სადისციპლინო დარღვევების (თამაშის წესების და ქვევის კოდექსის) დაფიქსირებას და უზრუნველყოფენ დისციპლინარული დარღვევების შესაბამისი წესით მიწოდებას სრკ-ს სადისციპლინო კომიტეტისთვის შემდგომი რეაგირების მიზნით. მსაჯები არიან მიუკერძოებლები და არ არსებობს რაიმე მოტივი ან არგუმენტი, შეადგინონ ცრუ ინფორმაციის შემცველი ოქმები. მსაჯებისა და მათი გადაწყვეტილებების მიმართ მორჩილება და პატივისცემა წარმოადგენს საყოველთაოდ აღიარებულ და მსოფლიო რაგბის მიერ აღიარებულ პრინციპებს. მატჩის ოფიციალური პირი (მსაჯი) წარმოადგენს რაგბის თამაშის განმსაზღვრელ და განუყოფელ ელემენტს, რომლის გარეშეც თამაში ფაქტობრივად შეუძლებელია. მსაჯებს უკავიათ განსაკუთრებულად გადამწყვეტი როლი, ვინაიდან თითოეულ გადაწყვეტილებას შეუძლია რადიკალურად შეცვალოს თამაშის მიმდინარეობა და შედეგი. თამაშის სწორად და სამართლიანად გამართვის უზრუნველყოფის მიზნით, აუცილებელია თამაშის ნებისმიერი მონაწილისგან გამომხატული იყოს პატივისცემა მსაჯებისა და მათი გადაწყვეტილებების მიმართ;
5. სახდელის დაკისრების დროს გასათვალისწინებელია საჩივრის ავტორის უარყოფითი სადისციპლინო ისტორია, რომლითაც მოთამაშე ლევან გოგოლაშვილი 2021 წლის 11 მაისის სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილებით დისკვალიფიცირებული იყო მსაჯის მიმართ არაეთიკური საქციელის გამოვლინების გამო, ხოლო 2022 წლის 1 ივნისის სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილებით დისკვალიფიცირებული იყო მოწინააღმდეგის სიტყვიერი შეურაცხყოფის გამო;
6. განსახილველ შემთხვევაში მოთამაშის მიერ დარღვეულ იქნა სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის დანართი #1-ის 9.27 და 9.28 პუნქტები, რომლის შესაბამისად, მოთამაშემ არ უნდა გამოიჩინოს უპატივიცემულობა მატჩის ოფიციალურ პირთა ავტორიტეტის მიმართ და არ უნდა შეურაცხყოს სიტყვიერად მატჩის ოფიციალური პირები. ასევე დარღვეულ იქნა დანართი #6-ის მე-3 პუნქტი;

7. უდავოა რომ მოთამაშის მხრიდან ადგილი ჰქონდა დისციპლინარულ გადაცდომებს, რაც სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის დანართი #1-ის [მსოფლიო რაგბის სანქციები თამაშის წესების დარღვევისას] შესაბამისად, უნდა დაკვალიფიცირდეს და განისაზღვროს პროპორციული სანქცია. სააპელაციო კომისია უფლებამოსილია შეაფასოს დაკისრებული სახდელის რელევანტურობა და მისი გავლენა სამომავლოდ მოთამაშის კარიერაზე. სანქცია უნდა ატარებდეს ქმედების პრევენციის ფუნქციას და თუ ის იქნება არაგონივრულად მკაცრი, მან შეიძლება პირიქით უარყოფითი გავლენა იქონიოს მოთამაშის არასპორტული/არათეიკური საქციელის გამოსწორების გზაზე. ცალსახაა, რომ განსახილველი სადისციპლინო გადაცდომის გარდა მოთამაშე ადრეც იდენტიფიცირებული იყო არასპორტულ საქციელში თუმცა მკაცრმა სასჯელმა შედეგი არ გამოიღო. სააპელაციო კომისია მიიჩნევს, რომ ამ გადაწყვეტილებით სანქციის შემსუბუქება დადებით გავლენას იქონიებს მოთამაშის სამომავლო ქმედებაზე;
8. კომისია მხედველობაში იღებს დადასტურებული ფაქტობრივი გარემოებებს, რომელიც ასახულია საითინგში დარღვევების სახით, თუმცა მიიჩნევს რომ გამოყენებული სანქცია არის მკაცრი და ის უნდა შეიცვალოს და დაკვალიფიცირდეს შუა ზღვრით, ხოლო სანქციად დარღვევებისათვის განისაზღვროს 12 (თორმეტი) კვირა;

გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი

სააპელაციო კომისიამ სრული შემადგენლობით გადაწყვიტა:

1. სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, მოთამაშე ლევან გოგოლაშვილს სადისციპლინო კომისიის მიერ დაკისრებული 18 (თვრამეტი) კვირიანი ზედა ზღვრის დისკვალიფიკაცია, შეიცვალოს და შემცირდეს 12 (თორმეტი) კვირიანი დისკვალიფიკაციით და წითელი ბარათით;
2. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.
3. სააპელაციო კომისიის დებულების შესაბამისად, დაუბრუნდეს საჩივრის ავტორს გადახდილი სადებოზიტო თანხიდან 300 (სამასი) ლარი.

სააპელაციო კომისიის წევრები

რევაზ ბერიძე _____

ირაკლი კუჭავა _____

ანა გვასალია _____

ბერდია ახალბედაშვილი _____